# საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი 1, №15-ის მიმდებარედ, ლევან დავითაშვილის და შ.პ.ს. "ოცნების სახლი"-ს საკუთრებაში არსებულ 2951 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ.01.17.07.021/021), ასაშენებელი თოთხმეტსართულიანი, ავტოფარეხით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედნის, საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში.

შ.პ.ს. "ოცნების სახლი"-ს ადმინისტრაციის თხოვნით, ჩვენს მიერ 2017 წლის დეკემბერში, შემოწმებული იქნა, ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი 1, №15-ის მიმდებარედ, თოთხმეტსართულიანი, ავტოფარეხით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ საკვლევ მოედანზე, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

**შემოწმების მიზანი:** დადგინდეს ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი 1, №15-ის მიმდებარედ, თოთხმეტსართულიანი, ავტოფარეხით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ საკვლევ მოედანზე, ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა, საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ინდ.მეწარმე "ოთარ ხიზანიშვილი"-ს მიერ 2017 წლის ნოემბერში, სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ო. ხიზანიშვილი, მის მიერ არის შესრულებული გრუნტების თვისებათა გამოკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე | 13გვ. |
| 2. | ტექნიკური დავალება | 1გვ. |
| 3. | ცხრილი გრუნტების თვისებებზე | 9გვ |
| 4. | მოედნის ტოპო გეგმა | 1გვ. |
| 5. | სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტი | 3გვ. |

პროექტით საკვლევ მოედანზე, უნდა აშენდეს თოთხმეტსართულიანი, ავტოფარეხით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში, საძირკვლის ტიპი: რკინა-ბეტონის ფილა ან ბურღვით ნატენი ხიმინჯები. საკვლევი მოედნის

საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საბურღი დაზგით "უგბ-1ვს"-ით, გაყვანილი იქნა სამი ჭაბურღილი 15.50მ-მდე სიღრმის.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა ფუძე-გრუნტების შემდეგი ფენები.

1. ფენა 2 დელუვიური თიხნარი $dQ_{IV}$
2. ფენა 4 ნაკლებად გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობის წყება $P_2$

ანგარიშში მოცემულია ფენა 2-ის და ფენა 4-ის დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, მიკრო/რაიონი 1, №15-ის მიმდებარედ, თოთხმეტსართულიანი, ავტოფარეხით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ საკვლევ მოედანზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს, საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
აკადემიკოსი, ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. /გ. ჭოხონელიძე/